საქართველო

4268-01-2-201802050946

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/4268
05/02/2018

ფრიად სასწრაფო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტროს
ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ **მარინა დარახველიძეს**

ქალბატონო **მარინა**,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან თურქულმა მხარემ უცხო ქვეყნის მოქალაქეების თურქეთში ყოფნის ვადებთან დაკავშირებულ წესში შეიტანა ცვლილება. ამ ცვლილების შემდეგ გარკვეული პრობლემები შეექმნათ საქართველოს იმ კატეგორიის მოქალაქეებს, რომლებიც ერთი დღის განმავლობაში რამდენჯერმე შედიოდნენ თურქეთის ტერიტორიაზე, რადგანაც 1 იანვრამდე მათი თურქეთის ტერიტორიაზე შესვლა- გასვლა (თუ ეს ხორციელდებოდა ერთი დღის განმავლობაში) 90 დღიან უვიზო რეჟიმის დღეები თურქეთის სასაზღვრო-გამშვები პუნქტების ელექტრონულ სისტემაში არ აისახებოდა და შესაბამისად, 90 დღეს არ აკლდებოდა. თურქეთის ტერიტორიაზე შესვლა-გამოსვლის რაოდენობის ახალმა კალკულაციამ საქართველოს მოქალაქეებში გამოიწვია უკმაყოფილება, რის შემდეგაც თურქულმა მხარემ ჩვენი თხოვნის საფუძველზე მ/წლის მარტამდე საქართველოს მოქალაქეებისათვის შეაჩერა აღნიშნული რეგულაციის ამოქმედება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, 2018 წლის 9 თებერვალს ქ. თბილისში დაგეგმილია შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საბაჟო და ვაჭრობის სამინისტროსა და შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან თურქეთის მხრიდან ამოქმედებული რეგულაციის თაობაზე პოზიციების შეჯერების მიზნით.

შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, გვაცნობოთ თქვენი უწყების სახელით შეხვედრაში მონაწილე პირის საკონტაქტო მონაცემები. ამასთან, ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია 9 თებერვალს დაგეგმილ შეხვედრამდე საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართოს სამუშაო შეხვედრა, რომლის ჩატარების თარიღს გაცნობებთ უმოკლეს ვადაში.

პატივისცემით,
გიორგი ტაბატაძე

დეპარტამენტის დირექტორი
საკონსულო დეპარტამენტი